

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №72
2018 წლის 24 აგვისტო

ქ. ხონი

„ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

წარმოდგენილი 2018 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების მიხედვით იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები 328.428 ათასი ლარით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს №1621 განკარგულებით 158.428 ათასი ლარით საგადასახადო შემოსავლებით 170,0 ათასი ლარით.

შესაბამისად იზრდება გადასახდელები: „გზებისა და ტროტუარების, გაზონების მშენებლობის ხარჯები და პროექტების სამუშაოები“ (ორგანიზაციული კოდი 03 01 01) 251,245 ათასი ლარი, „სოციალური (ერთჯერადი და ყოველთვიური) დახმარება“ (ორგანიზაციული კოდი 06 02 04) 120,0 ათასი ლარი, „ეპარქია, სახალხო დღესასწაულებისა და ღონისძიებების დაფინანსება“ (ორგანიზაციული კოდი 05 05) 15,0 ათასი ლარი.

ასევე ხორციელდება თანხის გადატანა ქვეპროგრამებს შორის: 18,3 ათასი ლარით მცირდება „სკვერის მოწყობა“ (ორგანიზაციული კოდი 03 03 01) და 18,3 ათასი ლარით იზრდება „შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ხარჯები“ (ორგანიზაციული კოდი 03 02 03).

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივლისის №1397 განკარგულებით დაზუსტდა ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხის ოდენობა. რის შედეგადაც შემცირდა 57,817 ათასი ლარით „შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ხარჯები“ (ორგანიზაციული კოდი 03 02 03).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის, „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-80 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №33 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; ს/კ 190020020.35.119.016337 29/12/2017) შეტანილ იქნეს ცვლილებები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

კობა კუბლაშვილი

დანართი

თავი I

ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

2016 წლის ფაქტი		2017 წლის გეგმა		2018 წლის გეგმა	
მათ შორის		მათ შორის		მათ შორის	



დასახელება	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9,045.7	2,863.2	6,182.6	9,351.2	2,756.7	6,594.5	11,837.7	4,741.2	7,096.4
გადასახადები	587.4	0.0	587.4	599.5	0.0	599.5	680.0	0.0	680.0
გრანტები	8,130.1	2,810.9	5,319.2	7,990.9	2,545.0	5,445.9	10,410.9	4,490.8	5,920.1
სხვა შემოსავლები	328.2	52.2	276.0	760.8	211.7	549.1	746.8	250.5	496.3
ხარჯები	6,155.4	74.5	6,080.9	6,112.3	333.5	5,778.9	6,812.2	160.9	6,651.3
შრომის ანაზღაურება	1,368.8	60.8	1,308.1	1,305.7	63.2	1,242.5	1,466.9	62.5	1,404.4
საქონელი და მომსახურება	665.1	9.8	655.4	693.0	4.9	688.1	834.4	7.4	827.0
სუბსიდიები	3,307.2	0.0	3,307.2	3,195.3	86.0	3,109.3	3,488.2	86.0	3,402.2
გრანტები	154.7	0.0	154.7	0.4	0.0	0.4	0.5	0.0	0.5
სოციალური უზრუნველყოფა	529.4	4.0	525.4	615.9	4.0	611.9	746.0	5.0	741.0
სხვა ხარჯები	130.2	0.0	130.2	302.0	175.4	126.7	227.0	0.0	227.0
საოპერაციო სალდო	2,890.3	2,788.6	101.7	3,238.9	2,423.3	815.6	5,025.5	4,580.3	445.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,553.7	2,488.8	64.9	2,739.8	2,172.0	567.9	5,025.5	4,580.3	445.1
ზრდა	2,714.6	2,488.8	225.7	3,001.7	2,172.0	829.8	5,085.5	4,580.3	505.1
კლება	160.8	0.0	160.8	261.9	0.0	261.9	60.0	0.0	60.0
მთლიანი სალდო	336.6	299.8	36.8	499.1	251.3	247.8	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	255.7	299.7	-43.9	480.7	250.5	230.2	0.0	0.0	0.0
ზრდა	299.7	299.7	0.0	480.7	250.5	230.2	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	299.7	299.7		480.7	250.5	230.2	0.0	0.0	0.0
კლება	43.9	0.0	43.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	43.9		43.9	0.0			0.0		0.0
კლება	80.9	0.2	80.7	18.4	0.9	17.5	0.0	0.0	0.0
საშინაო	80.9	0.2	80.7	18.4	0.9	17.5	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
წინა წელს გამოუყენებელი თანხის დაბრუნება	0.000			0.000		0.000	0.000		
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	646.200	0.000	646.200	901.905	299.650	602.255	0.000	0.000	0.000
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	901.905	299.650	602.255	1,382.597	550.105	832.492	0.000	0.000	0.000



ნაშთის ცვლილება	255.7	299.7	-43.9	480.7	250.5	230.2	0.0	0.0	0.0
-----------------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-----	-----	-----

მუხლი 2. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9,045.7	2,863.2	6,182.6	9,351.2	2,756.7	6,594.5	11,837.7	4,741.2	7,096.4
ხარჯები	6,155.4	74.5	6,080.9	6,112.3	333.5	5,778.9	6,812.2	160.9	6,651.3
საოპერაციო სალდო	2,890.3	2,788.6	101.7	3,238.9	2,423.3	815.6	5,025.5	4,580.3	445.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,553.7	2,488.8	64.9	2,739.8	2,172.0	567.9	5,025.5	4,580.3	445.1
ზრდა	2,714.6	2,488.8	225.7	3,001.7	2,172.0	829.8	5,085.5	4,580.3	505.1
კლება	160.8	0.0	160.8	261.9	0.0	261.9	60.0	0.0	60.0
მთლიანი სალდო	336.6	299.8	36.8	499.1	251.3	247.8	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	255.7	299.7	-43.9	480.7	250.5	230.2	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 3. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 11 897.7 ათასი ლარით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



			სავლები						სავლები
შემოსულობები	9,206.6	2,863.2	6,343.4	9,613.1	2,756.7	6,856.4	11,897.7	4,741.238	7,156.4
შემოსავლები	9,045.7	2,863.2	6,182.6	9,351.2	2,756.7	6,594.5	11,837.7	4,741.2	7,096.4
არაფინანსური აქტივების კლება	160.8	0.0	160.8	261.9	0.0	261.9	60.0	0.0	60.0
შემოსავლები	9,045.7	2,863.2	6,182.6	9,351.2	2,756.7	6,594.5	11,837.7	4,741.2	7,096.4
გადასახადები	587.4	0.0	587.4	599.5	0.0	599.5	680.0	0.0	680.0
ქონების გადასახადი	170.4	0.0	170.4	117.7	0.0	117.7	180.0	0.0	180.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	96.2		96.2	117.7		117.7	180.0		180.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.3	0.0	1.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1.3		1.3	0.0		0.0	0.0		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	38.3	0.0	38.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირებიდან	36.5		36.5	0.0		0.0	0.0		
იურიდიულ პირებიდან	1.8		1.8	0.0		0.0	0.0		
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	34.6	0.0	34.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირებიდან	2.8		2.8	0.0		0.0	0.0		
იურიდიულ პირებიდან	31.8		31.8	0.0		0.0	0.0		
საშემოსავლო გადასახადი	417.0		417.0	481.8		481.8	500.0		500.0
გრანტები	8,130.1	2,810.9	5,319.2	7,990.9	2,545.0	5,445.9	10,410.9	4,490.8	5,920.1
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8,130.1	2,810.9	5,319.2	7,990.9	2,545.0	5,445.9	10,410.9	4,490.8	5,920.1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5,477.7	158.5	5,319.2	5,605.9	160.0	5,445.9	6,080.1	160.0	5,920.1
გათანაბრებითი ტრანსფერი	5,319.2		5,319.2	5,445.9		5,445.9	5,920.1		5,920.1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	158.5	158.5		160.0	160.0		160.0	160.0	0.0



ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2,652.4	2,652.4	0.0	2,385.0	2,385.0	0.0	4,330.8	4,330.8	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1,794.3	1,794.3		2,205.0	2,205.0		4,330.8	4,330.8	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	481.6	481.6		0.0	0.0		0.0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	376.6	376.6		180.0	180.0		0.0	0.0	
სხვა შემოსავლები	328.2	52.2	276.0	760.8	211.7	549.1	746.8	250.5	496.3
შემოსავლები საკუთრებიდან	66.9	0.0	66.9	80.8	0.0	80.8	96.0	0.0	96.0
პროცენტები	28.7		28.7	30.4		30.4	40.0		40.0
რენტა	38.2	0.0	38.2	50.3	0.0	50.3	56.0	0.0	56.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	36.0		36.0	44.7		44.7	50.0		50.0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2.2		2.2	5.6		5.6	6.0		6.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	60.6	0.0	60.6	111.9	0.0	111.9	87.0	0.0	87.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	30.0	0.0	30.0	96.4	0.0	96.4	52.0	0.0	52.0
სანებართვო მოსაკრებელი	1.3		1.3	65.8		65.8	20.0		20.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	28.7		28.7	30.6		30.6	32.0		32.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	30.6	0.0	30.6	15.5	0.0	15.5	35.0	0.0	35.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან.(იჯარა)	30.6		30.6	15.5		15.5	35.0		35.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	76.6		76.6	54.5		54.5	73.1		73.1
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	8.3		8.3	239.3		239.3	10.0		10.0
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	115.9	52.2	63.7	274.3	211.7	62.6	480.692	250.455	230.237
არაფინანსური აქტივების კლება	160.8	0.0	160.8	261.9	0.0	261.9	60.0	0.0	60.0



მირითადი აქტივები	48.4		48.4	212.9		212.9	60.0		60.0
არაწარმოებული აქტივები	112.5	0.0	112.5	49.0	0.0	49.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 4. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახადები 680,0 ათასი ლარით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	587.4	0.0	587.4	599.5	0.0	599.5	680.0	0.0	680.0
ქონების გადასახადი	170.4	0.0	170.4	117.7	0.0	117.7	180.0	0.0	180.0
საშემოსავლო გადასახადი	417.0		417.0	481.8		481.8	500.0		500.0

მუხლი 5. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გრანტები 10 410.9 ათასი ლარით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	8,130.1	2,810.9	5,319.2	7,990.9	2,545.0	5,445.9	10,410.9	4,490.8	5,920.1
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8,130.1	2,810.9	5,319.2	7,990.9	2,545.0	5,445.9	10,410.9	4,490.8	5,920.1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5,477.7	158.5	5,319.2	5,605.9	160.0	5,445.9	6,080.1	160.0	5,920.1
გათანაბრებითი ტრანსფერი	5,319.2		5,319.2	5,445.9		5,445.9	5,920.1		5,920.1



მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	158.5	158.5		160.0	160.0		160.0	160.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2,652.4	2,652.4	0.0	2,385.0	2,385.0	0.0	4,330.8	4,330.8	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1,794.3	1,794.3		2,205.0	2,205.0		4,330.8	4,330.8	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	481.6	481.6		0.0	0.0		0.0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	376.6	376.6		180.0	180.0		0.0	0.0	

მუხლი 6. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 746.8 ათასი ლარით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	328,2	52,2	276,0	760,8	211,7	549,1	746,8	250,5	496,3
შემოსავლები საკუთრებიდან	66,9	0,0	66,9	80,8	0,0	80,8	96,0	0,0	96,0
პროცენტები	28,7		28,7	30,4		30,4	40,0		40,0
რენტა	38,2	0,0	38,2	50,3	0,0	50,3	56,0	0,0	56,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	36,0		36,0	44,7		44,7	50,0		50,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაგნობა და სხვა) გადაცემიდან	2,2		2,2	5,6		5,6	6,0		6,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	60,6	0,0	60,6	111,9	0,0	111,9	87,0	0,0	87,0



ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	30,0	0,0	30,0	96,4	0,0	96,4	52,0	0,0	52,0
სანებართვო მოსაკრებელი	1,3		1,3	65,8		65,8	20,0		20,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	28,7		28,7	30,6		30,6	32,0		32,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	30,6	0,0	30,6	15,5	0,0	15,5	35,0	0,0	35,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან.(იჯარა)	30,6		30,6	15,5		15,5	35,0		35,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	76,6		76,6	54,5		54,5	73,1		73,1
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	8,3		8,3	239,3		239,3	10,0		10,0
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	115,9	52,2	63,7	274,3	211,7	62,6	480,692	250,455	230,237

მუხლი 7. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 11 897.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

ორგ. კოდი	ხონის მუნიციპალიტეტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხონის მუნიციპალიტეტი	8,950.9	2,563.5	6,387.4	9,132.4	2,506.3	6,626.2	11,897.7	4,741.238	7,156.4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	193.0	0.0	193.0	158.0	0.0	158.0	805.0	0.0	805.0
	ხარჯები	6,155.4	74.5	6,080.9	6,112.3	333.5	5,778.9	6,763.0	160.9	6,602.1
	შრომის ანაზღაურება	1,368.8	60.8	1,308.1	1,305.7	63.2	1,242.5	1,466.9	62.5	1,404.4
	საქონელი და მომსახურება	665.1	9.8	655.4	693.0	4.9	688.1	834.4	7.4	827.0
	პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	49.2	0.0	49.2
	სუბსიდიები	3,307.2	0.0	3,307.2	3,195.3	86.0	3,109.3	3,488.2	86.0	3,402.2
	გრანტები	154.7	0.0	154.7	0.4	0.0	0.4	0.5	0.0	0.5
	სოციალური უზრუნველყოფა	529.4	4.0	525.4	615.9	4.0	611.9	746.0	5.0	741.0



სხვა ხარჯები	130.2	0.0	130.2	302.0	175.4	126.7	227.0	0.0	227.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,714.6	2,488.8	225.7	3,001.7	2,172.0	829.8	5,085.5	4,580.3	505.1

მუხლი 8. განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება თანდართული რედაქციით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	160.8	0,0	160.8	261.9	0,0	261.9	60.0	0,0	60.0
ძირითადი აქტივები	48,4		48.4	212.9		212.9	60.0		60.0
არაწარმოებული აქტივები	112.5	0,0	112.5	112,5	0,0	112,5	0	0,0	0
მიწა	112,5		112.5	49.0		49.0	0		0

მუხლი 9. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,012.9	0.0	2,012.9	1,796.4	0.0	1,796.4	2,193.8	0.0	2,193.8
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,012.9	0.0	2,012.9	1,796.4	0.0	1,796.4	2,144.6	0.0	2,144.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,012.9	0.0	2,012.9	1,782.3	0.0	1,782.3	2,144.6	0.0	2,144.6
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	49.2	0.0	49.2
702	თავდაცვა	70.0	66.5	3.5	70.2	68.1	2.1	81.8	69.9	11.9



704	ეკონომიკური საქმიანობა	2,357.3	2,230.3	127.0	2,559.7	2,049.7	509.9	4,254.1	3,975.7	278.4
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	279.1	279.1	0.0	66.1	63.7	2.4	158.0	91.0	67.0
70421	სოფლის მეურნეობა	279.1	279.1	0.0	66.1	63.7	2.4	158.0	91.0	67.0
7045	ტრანსპორტი	1,613.6	1,486.6	127.0	2,418.1	1,930.3	487.8	4,086.2	3,874.8	211.4
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,613.6	1,486.6	127.0	2,418.1	1,930.3	487.8	4,086.2	3,874.8	211.4
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	464.5	464.5	0.0	75.6	55.8	19.7	9.8	9.8	0.0
705	გარემოს დაცვა	511.8	0.0	511.8	511.9	0.0	511.9	570.0	0.0	570.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	511.8	0.0	511.8	511.9	0.0	511.9	570.0	0.0	570.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	411.0	171.7	239.3	928.6	297.6	631.1	1,149.2	601.3	547.9
7061	ბინათმშენებლობა	196.6	171.7	25.0	514.4	297.6	216.8	689.8	601.3	88.5
7064	გარე განათება	26.5	0.0	26.5	191.1	0.0	191.1	228.7	0.0	228.7
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	187.8	0.0	187.8	223.1	0.0	223.1	230.7	0.0	230.7
707	ჯანმრთელობის დაცვა	88.0	0.0	88.0	86.0	86.0	0.0	87.0	87.0	0.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	88.0	0.0	88.0	86.0	86.0	0.0	87.0	87.0	0.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,482.8	90.8	1,392.0	1,110.5	0.0	1,110.5	1,275.1	2.3	1,272.7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	424.5	0.0	424.5	207.6	0.0	207.6	259.7	0.0	259.7
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	747.2	90.8	656.4	632.3	0.0	632.3	682.4	2.3	680.0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	67.5	0.0	67.5	51.7	0.0	51.7	55.0	0.0	55.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	243.6	0.0	243.6	218.9	0.0	218.9	278.0	0.0	278.0
709	განათლება	1,155.1	0.0	1,155.1	1,223.0	0.0	1,223.0	1,299.7	0.0	1,299.7
7091	სკოლამდელი აღზრდა	861.7	0.0	861.7	931.5	0.0	931.5	984.0	0.0	984.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	293.4	0.0	293.4	291.4	0.0	291.4	291.4	0.0	315.7



710	სოციალური დაცვა	781.1	4.0	777.1	827.8	4.0	823.8	987.0	5.0	982.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	9.0	0.0	9.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	703.7	0.0	703.7	782.1	0.0	782.1	928.0	0.0	928.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	77.4	4.0	73.4	45.7	4.0	41.7	50.0	5.0	45.0
	სულ	8,870.0	2,563.3	6,306.6	9,114.0	2,505.4	6,608.6	11,897.7	4,741.2	7,156.4

მუხლი 10. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
საოპერაციო სალდო	2,890.3	2,788.6	101.7	3,238.9	2,423.3	815.6	5,025.5	4,580.3	445.1

მუხლი 11. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ლარი

მუხლი 12. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 70.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 160,0 ათ. ლარი მიმართულ იქნეს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის- 86.0 ათასი ლარი.

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის- 69.0 ათასი ლარი.

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 5.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი



მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადასაწილებია.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - (პროგრამული კოდი 02 00)

ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება შემდეგი ძირითადი პროგრამები:

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხონის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის გამოკვლევის მიზნით მათი რესპუბლიკის სამედიცინო-საექსპერტო კომისიაზე და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტში მობილიზებული რეზერვისტების ტრანსპორტირება დისლოკაციის ადგილამდე.

3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და წარმოადგენს ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა, შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.

5. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა.

6. დასუფთავების ღონისძიებები ააიპ კომუნალური სერვის-ცენტრი (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, მოსახლეობის მაწანწალა ძაღლებისაგან დაცვა და მათი იზოლირება.

7. შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 03)



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის, მიმდინარე რემონტის, რეაბილიტაციისა და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა, (რომლთა ოჯახები რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვს 60 000 ნაკლები სარეიტინგო ქულა) საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლის სახურავის სარემონტო სამუშაოებისათვის სამშენებლო მასალების გადაცემა (აზბესტობეტონის ტალღოვანი ფურცელი (შიფერი) ან ლითონის მოთუთიებული ფურცელი, ხის მასალა).

8. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, ქუჩებზე არსებული ქსელის მოვლა შენახვა და მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება. ასევე ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოწყობა .

9. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მწვანე ნარგავების მოვლა. სადღესასწაულო დღეებში ქალაქის ტერიტორიის გაფორმება და სხვა ღონისძიებები.

10 ააიპ სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური (პროგრამული კოდი 03 03 02)

აღნიშნული ქვეპროგრამით ფინანსდება ააიპ სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას.

11. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

საქართველოს მთავრობის დადგენილებებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები

12. საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურეობის შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 05)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

13. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

14.სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ ცენტრალური საბავშვო ბაღი.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც აღსაზრდელთა რაოდენობა არის 850 ბავშვი. საბავშვო ბაღებში ერთ ბავშვზე საშუალო თვიური გადასახადი შეადგენს 0 ლარს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ



კვების ხარჯს, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

15. ააიპ ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი (პროგრამული კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი, სადაც მუშაობს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, აქ მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის დაწყებით განათლებას ტექნიკურ მოდელირებაში.

16. ა(ა)იპ ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი (პროგრამული კოდი 04 03)

ააიპ ინფორმატიკის სასწავლო ცენტრში ხორციელდება, როგორც მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის, ასევე პირობითი მსჯავრის მქონე პირებისათვის კომპიუტერული პროგრამების სწავლება.

17. ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახ. ხონის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 04 04)

ააიპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებს სასწავლო და შემოქმედებითი წრეები, კლუბები, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები და სახელოვნებო სტუდიები.

18. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს ახალგაზრდული ორგანიზაციების და პროექტების, კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

19. ააიპ კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსებას. სადაც ფუნქციონირებს ფეხბურთის, ჭიდაობის, მძლეოსნობის, ჯადრაკის სექციები და უზრუნველყოფს სხვადასხვა ტურნირებში მათი მივლინებასა და კვების ხარჯების დაფინანსებას, საწვრთნელი პირობების შექმნას. ხელს უწყობს ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდას, წარმოჩინებას და ფართო ასპარეზზე გაყვანას. სხვადასხვა სპორტული წრეებში დაკავებულია 170 აღსაზრდელი.

20. ააიპ მთავარი ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ“ ხონის მთავარი ბიბლიოთეკა“, რომელიც აერთიანებს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებს, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

21. ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ხონის“ სამუსიკო სკოლა“. სკოლაში სწავლობს 240 -მდე მოსწავლე, ფუნქციონირებს ფორტეპიანოს და თეორიული განყოფილება, სოლფეჯიოს, მუსიკის ლიტერატურის და რითმიკის ჯგუფი. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შიდა ღონისძიებები, ღია და დახურული კონცერტები, ღია გაკვეთილები, ტექნიკური ჩათვლები.

22. ა(ა)იპ კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 05)

ააიპ კულტურის ცენტრში შექმნილია წრეები, ფუნქციონირებს თეატრალური დასი, სასულე ორკესტრი, ფოლკლორული ანსამბლები, ასევე იდგმება სპექტაკლები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას.



23. ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა ხელს უწყობს ბავშვებისა და მოზარდების სკოლისგარეშე მუშაობაში ჩართვას, ესთეტიკურ აღზრდას და მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებას.

24. ა(ა)იპ ხონის ისტორიული მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 07)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „ხონის ისტორიული მუზეუმი“-ს დაფინანსებას, რომელიც აერთიანებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ მუზეუმებს. სისტემატიურად მოიძიებს, ისტორიულ წყაროებს, იცავს, იკვლევს, პოპულარიზაციას უწევს და გამოფენს ექსპონატებს. მუზეუმი აღვივებს საზოგადოების თვითშეგნებას პატრიოტული სულისკვეთებით.

25. ტელერადიო და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინფორმაციო ბუკლეტებისა და გაზეთის გამოცემის, საკანონმდებლო მაცნეში ნორმატიული აქტების გამოქვეყნების ხარჯები. ასევე მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების გაშუქება.

26. ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდათაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით, ახალგაზრდული ორგანიზაციების და პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას.

27. ეპარქია და სახალხო დღესასწაულები (პროგრამული კოდი 05 05)

